

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი გუგავას ანგარიში

---

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საკრებულოს რეგლამენტი.

საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული 16 მაჟორიტარული და 15 პროპორციული წესით არჩეული დეპუტატისაგან.

2017 წლის 20 ნოემბერს ხმათა უმრავლესობით არჩეული ვარ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

საკრებულოში ფუნქციონირებს ხუთი კომისია:

- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია;
- ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისია;
- ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;

ხუთი ფრაქცია :

- „ქვეყნის ერთობა და განვითარება“;
- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
- „ქართული ოცნება-კონსერვატორები“;
- „ერთობა“;
- „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
- „ევროპული საქართველო-მომზადება თავისუფლებისათვის“

2017 წლიდან დღემდე საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით.

2018 წლის განმავლობაში საკრებულოში ჩატარდა 12 მორიგი და 11 რიგგარეშე სხდომა, მიღებულია 58 დადგენილება და 78 განკარგულება, საკრებულოში შემოსულია 220 განცხადება და წერილი, პასუხი გაეცა 153-ს, მომზადდა და გამოიცა 119 ბრძანება, შიდა 85 დოკუმენტი. მათ შორის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 8 განცხადება (დაკმაყოფილებულია). საკრებულოს თანამშრომლები ჩართული არიან ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება-გამოცემაში. 2018 წელს ჩატარდა ბიუროს 23 სხდომა, სადაც ხდებოდა საკითხების წინანსწარი განხილვა.

საკრებულოს კომისიები ჩართული არიან და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მერიის სატენდერო, სოციალური, სამუშაოების მიღება-ჩაბარების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო, გენდერული საბჭოს, პროექტების მიმღებ და სხვა კომისიების მუშაობაში. კომისიების მიერ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული, სპორტული, კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და ორგანიზების კუთხით. (მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას მაღალი შედეგები აქვს სპორტის, კულტურის და განათლების კუთხით). ხორციელდება ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ცნობადობის

გაზრდისა და ტურისმის განვითარების ხელშეწყობის კუთხით. კომისიებმა ამის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინეს საკუთარ ანგარიშებში.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ბევრი პრობლემა აწუხებს; მათ შორის უმუშევრობის, ადგილობრივი გზების, სასმელი წყლის, ყურძნისა და ხილის ჩაბარების, ჯამრთელობის და სხვა.

მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ყველა მოვლენის საქმის კურსში ვარ. დეპუტატები ოპერატიულად გვაწვდიან ინფორმაციას თემებში არსებული პრობლემების შესახებ. მაშინვე გავდივართ ადგილზე, ვსაწავლობთ სიტუაციას და შეძლებისდაგვარად ვაგვარებთ საკითხს, ასევე შესაბამის წინადადებებს წარვუდგენთ მუნიციპალიტეტის მერს და საქართველოს მთავრობას.

საკრებულო და მერია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემების მოსაგვარებლად.

საკრებულოს მუშაობა გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ხდება მოქალაქეთა დასწრება საკრებულოს სხდომებზე. საკრებულოს ყველა წევრი ხვდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, შეისწავლის მათ პრობლემებსა და აყენებს საკითხს მათი მოგვარების შესახებ. საკრებულოს გადაწყვეტილებები გამოტანილია მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების შესახებ საკრებულოში ყოველთვის იმართება ღია განხილვა. ხშირია მწვავე კამათი. საკრებულო თანამშრომლობს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებთან და არასმთავრობო ორგანიზაციებთან.

საკრებულოს დეპუტატებმა დიდი როლი ითამაშეს არჩევნების პერიოდში მუნიციპალიტეტში სტაბილური გარემოს შექმნაში და შენარჩუნებაში. არჩევნების პერიოდში საკრებულოს არცერთ წევრზე და თანამშრომელზე არ განხორციელებულა ზეწოლა, ყველას ჰქონდა საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. საკრებულო ასევე ჩართული იყო 2018 წლის რთველის სამზადისში, ორგანიზებას და დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას ყურძნის ჩაბარებაში. ამ ღონისძიებამ ორგანიზებულად ჩაიარა. მოსახლეობისაგან კერძო კომპანიების მიერ მიღებული იქნა 1000 ტონაზე მეტი ადგილობრივი თეთრი და შავი ჯიშის ყურძენი, ფასებიც მისაღები იყო.

ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება სხვადასხვა სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი გზების, წყალსადენების, ჯებირების და ხიდ-ბოგირების აღდგენა-მშენებლობა, მნიშვნელოვანია აგრეთვე დასაქმების პრობლემა. მიმდინარე წელს დასრულდა ქ. ცაგერში #2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია, ქ. ცაგერის ქუჩებისა და ჩიხების ასფალტირების სამუშაოები, ტურისტული ცენტრის მშენებლობა, დასრულდა სოფ. მახაშის საჯარო სკოლის მშენებლობა, მიმდინარეობს ტურისტულად მიმზიდველი ობიექტების მშენებლობა, დაიწყო და მომავალ წელს დასრულდება სოფ. ლაჯანის საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც გათვლილია 45 ბავშვზე და აკმაყოფილებს ყველა თანამედროვე მოთხოვნას, დასრულდა ტენდერი და უახლოეს პერიოდში დაიწყება ხვამლის მთის მიმართულებით ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები, დასრულდა სოფ. ქულბაქში „ჯონოული 1“ ელ. სადგურის მშენებლობა და მალე შევა ექსპლოატაციაში.

საკრებულოს საქმიანობის გამართულად მუშაობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, აპარატში ამჟამად 16 შტატით გათვალისწინებული და 3 შტატგარეშე თანამშრომელია.